



# პარლამენტარი და რეპორტი Press-კლუბში



„ა. შორო“ (მსახურ ჩაბლინილი) ©

**გიორგი ლავთაძე: „ჩვენ არა გვყავს ცხვრებივით მორჩილი აკადემიური საბჭო“**

იხილეთ მე-2 გვერდზე

## პრემიერ-მინისტრის „კურთხევა“ – რეპორტის მოვალეობის შემსრულებელს

„ერთადერთი სწორი გზა“ თუ „რესოვეტიზაცია“?

განათლების სფეროში ახალი ხელისუფლების კიდევ ერთმა ინიციატივამ სტუდენტების აქციები გამოიწვია. ამჯერად საუბარია უმაღლესი განათლების სფეროში ორ ძირითად ცვლილებაზე: ხელისუფლების მიერ ინიცირებული კანონპროექტით, გარდამავალ პერიოდში, რექტორის მოვალეობის შემსრულებელს პრემიერ-მინისტრი დანიშნავს, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის რექტორის სამეცნიერო ხარისხი უნდა ჰქონდეს. მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებები საქართველოს პარლამენტში იხილება და აზრთა

სხვადასხვაობა არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ კოალიციაშიც გამოიწვია.

უმაღლესი განათლების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების ოპონენტები აცხადებენ, რომ ხელისუფლება უნივერსიტეტების ავტონომიას ზღუდავს, რადგან პრემიერ-მინისტრი ნიშნავს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს. პრეზიდენტის შეფასებით, ახალი ხელისუფლება განათლების სფეროს „რესოვეტიზაციას“ ახდენს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი მარ-

გველაშვილის განცხადებით კი, კარგი იქნებოდა, ყველამ უფრო სიღრმისეულად ჩაიხედოს ცვლილებებში, რომელიც იგეგმება:

„ყველა ადამიანს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. მეტიც, მისასაღებელია, როცა სტუდენტები ღიად აფიქსირებენ თავის აზრს. სასურველი იქნებოდა, უფრო სიღრმისეულად ჩაიხედოს ყველამ იმ ცვლილებებში, რომელიც ნორციელდება,“ – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტების აქციების საპასუხოდ, რომელიც განათლების სამინისტროსთან გაიმართა. აქციის

მონაწილეები „განათლების შესახებ კანონში“ შესატან ცვლილებებს აპროტესტებენ, განსაკუთრებით, იმ მუხლს, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის საბჭოების ფუნქცია მცირდება და პრემიერ-მინისტრს ეძლევა რექტორის დანიშვნის უფლება.

მარგველაშვილის ახალ ინიციატივას მოწინააღმდეგეები თვით კოალიციაშიც გამოუჩნდნენ. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ლევან ბერძენიშვილისთვის პრინციპულად მიუღებელია, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი პრემიერ-მინისტრმა, პრეზიდენტმა ან რომელიმე მინისტრმა დანიშნოს.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

### საქართველოში ნარჩუნების პარტიის ახალი სტანდარტი დაინერგება

იხილეთ მე-4 გვერდზე

### „ვისოლა“ ქუთაისის „ტოკაილოს“ ახალი შემადგენლობა ნარჩუნდება

იხილეთ მე-7 გვერდზე

### კვლევა გამოცდილების თანამედროვე ალტერნატივა. ანუ რა არის „ნიგოქსი“?

იხილეთ მე-3 გვერდზე

### „კულ ექსპორტი“ ლიხენშტეინის გადახდილი თანხის დაბრუნებას ითხოვს

იხილეთ მე-2 გვერდზე

### ქუთაისური კადრები „ქართული ფოტოგრაფიის“ ფუძემდებელი

იხილეთ მე-8 გვერდზე

### ქიმიკონი

ქიმიკონი  
 ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „აპოლონი“, წიგნების მაღაზია „ქიმიკონი“, ტელ: (790) 927 927.

**მსოფლიო მნიშვნელობის  
 გამოგონება.  
 როგორც  
 საქართველოს დაეკარგა**

ინტერვიუ ცემენტის სიმტკიცის საზომი უნიკალური ხელსაწყო ავტორთან, აკაკი ირომაშვილთან

იხილეთ მე-6 გვერდზე

**ვაგონში დახვრატას  
 გადაჩენილი  
 ბიჭის ამბავი**

იხილეთ მე-5 გვერდზე

**PS news.ge**

ISSN 1987-7056

9 771987 705004

„ვუდ ექსპორტი“ ლიცენზიისთვის გადახდილი თანხის დაბრუნებას ითხოვს

ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ძირითადად, ორი ეკოლოგიური ხასიათის პრობლემაა, რომელიც გამოწვეულია მანგანუმის მოპოვებასა და წაბლნარის გაჩეხვასთან დაკავშირებით.

მანგანუმის მოპოვება-გადამუშავებას აწარმოებს „ჯორჯიან ამერიკენ ელოზი“, ხოლო წაბლნარის სამეურნეო ჩეხვას — კომპანია „ვუდ ექსპორტი“. მოსახლეობას ორივე კომპანიის მიმართ აქვს პრეტენზია, რადგან ისინი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აყენებს მუნიციპალიტეტს.

„ამერიკენ ელოზმა“ მიმდინარე წლის მარტიდან შეიძინა „ჯორჯიან მანგანუმი“ აქტივები და მოსახლეობა აქტიურად აპროტესტებს მის საქმიანობას, რაც მანგანუმის ღია კარიერული წესით მოპოვებას უკავშირდება. გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით, ჭიათურა ლიდერია საქართველოში.

ჭიათურაში ამ კუთხით შექმნილ მდგომარეობას 13 ივნისს საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი და ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბიძინა გუჯაბიძე გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად გაცნენ.

გიორგი ცაგარეიშვილმა აღნიშნა, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სამთო-მოპოვებით ნაწილში მძიმე მდგომარეობაა, ასევე მძიმე მდგომარეობაა წაბლნარში. მას „ვუდ ექსპორტის“ წარმომადგენელმა მოსთხოვა ლიცენზიაში გადახდილი თანხის დაბრუნება, რაზედაც პარლამენტარმა უპასუხა, რომ თანხა მოეთხოვა „მატროსოვის“ ციხეში მყოფი მერაბიშვილისათვის.

როლანდ ხოჯანაშვილი psnews.ge

პრემიერ-მინისტრის „კურთხევა“ — ჩქატორის მოვალეობის შემსრულებელს „ერთადერთი სწორი გზა“ თუ „რესოვეტიზაცია“?

ბირველი გვერდიდან

„კანონპროექტში არის დებულება, რომელიც ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია. ეს არის ის, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში პრემიერ-მინისტრი ნიშნავს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს.

მე არ მიმაჩნია სწორად, რომ თუნდაც დროებით შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უნივერსიტეტების ავტონომია. მე უკვე ვთქვი და ახლაც ვავიშორებ, მირჩევნია, უნივერსიტეტის საბჭომ აირჩიოს ჩვენი ან ვინმეს წარმოდგენით არასასურველი რექტორი, ვიდრე ჩვენ, პრეზიდენტმა, პრემიერმა თუ მინისტრმა დანიშნოს ის,“ — განაცხადა ბერძენიშვილმა.

კანონში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე საუბრობს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ელისო ჩაფიძე. მისი თქმით, ცვლილებები საჭირო იყო თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან უსამართლოდ ხდებოდა, მაგალითად, თანამდებობრივი სარგოების გადანაწილება და ძალიან ბევრი მახინჯი პროცესი მიმდინარეობს უნივერსიტეტში. თუმცა მიიჩნევს, რომ რექტორი არჩეული უნდა იყოს მთლიანად უნივერსიტეტის პერსონალის მიერ.

რაც შეეხება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პრემიერის მიერ დანიშნვას, მიუხედავად კოალიციის წევრობისა, მან ამას მხარი არ დაუჭირა.

„ჩვენ კანონს არ ვიღებთ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის პერიოდისთვის. მე ვიცი, რომ ის დემოკრატია. ჩვენ კანონს ვიღებთ ზოგადად. ამიტომ ვითვალისწინებთ იმ საშიშროებას, თუ ვის ჩაუვარდება ეს კანონი მომავალში ხელში,“ — აცხადებს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

უმადლეის განათლების სფეროში დაგვიმოც კვლილებებს საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა. მისი თქმით, სახელმწიფო დღეს გვეუბნება, რომ ვისაც ხუთი ბოთლი კონიაკით რუსეთში სადოქტორო აქვს დაცული, შეუძლია, ასწავლოს და კოლეგების უნივერსიტეტის მაგისტრს — არა.

„ახლა ხდება „რესოვეტიზაცია“ ჩვენი სისტემის. ჩვენ ვბრუნდებით 20-30 წლით უკან, თუ ეს ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც იცვლება. მე ვფიქრობ, არ გაკეთდება, მაგრამ ზიანს ეს მოიტანს და „დაბაუზებულ“ მდგომარეობაში გადაიყვანს ჩვენი განათლების სისტემას. საქართველოში იყო ყველაზე პროგრესული განათლების სისტემა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ბევრი ახალი კადრი მოვიდა. მაგალითად, ვილაცას აქვს მაგისტრატურა დამთავრებული აშშ-ში სამართლის დარგში, ვილაცას — ვთქვათ, კრასნო-არსკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იქ დიდი დისერტაცია. ხომ ყველამ ვიცით, როგორ იცავდნენ დისერტაციას 1990-იან წლებში — ხუთი ბოთლი კონიაკით? ამას გვეუბნება დღეს სახელმწიფო, რომ ხუთი ბოთლი კონიაკით ვისაც აქვს სადოქტორო დაცული მაშინ რუსეთში, იმას აქვს უფლება, ასწავლოს და ვისაც აქვს დამთავრებული კოლეჯის უნივერსიტეტის მაგისტრატურა, როგორც მე, იმას არ აქვს უფლება,“ — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა გრიგოლ რომაქიძის უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას.

პრემიერის მიერ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშნვა კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ თანათავმჯდომარემ მათა ხარაძემაც გააპროტესტა და მას არადემოკრატიული უწოდა.

„ჩემი სიმპათიის მიუხედავად, ვერ გავმართლებ საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივას... აღნიშნული კოალიცია „ქართული ოცნება“ დაადგება იგივე გზას და იმოქმედებს ანალოგიური მექანიზმებით, როგორც თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობა“ მოქმედებდა. გაუმართლებელია უნივერსიტეტში, თუნდაც განსაკუთრებულ შემთხვევებში, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი პრემიერ-მინისტრმა დანიშნოს და უნივერსიტეტის მართვის ორგანოს, „აკადემიური საბჭოს“ გვერდის ავლით ერთპიროვნულად იმოქმედოს,“ — აცხადებს მათა ხარაძე.

აკადემიკოს ლალო პაპავას შეფა-



სებით კი „უმადლეის განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები არის ერთადერთი სწორი გზა, რომ უმადლეს სასწავლებლებში წესრიგი დამყარდეს.“ ამის შესახებ პაპავამ „პრაიმტიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„რაც წლების განმავლობაში ყველა უნივერსიტეტში ხდებოდა, ეს იყო სტუდენტებისა და ლექტორების უფლებების დარღვევა. თავისთავად, უნივერსიტეტის იღვა არის წმინდა. ის უნდა იყოს დამოუკიდებელი და მე ვფიქრობ, რომ ხელმძღვანელს მთავრობა კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ ის უნდა იყოს არჩეული, მაგრამ აქ კიდევ ერთი პირობაა — მთავარია, ვინ არიან იმ აკადემიური საბჭოს პროფესორები, ვინც რექტორი უნდა აირჩიოს. თავისთავად, ცვლილებას მივესალმები, რადგან ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომ წესრიგი დამყარდეს. უნივერსიტეტის პირველი პირი უნდა იყოს აკადემიური ხარისხის მქონე და, მე ვფიქრობ, მას სამეცნიერო ხარისხიც უნდა ჰქონდეს, რადგან მან უნდა იცოდეს, რას ნიშნავს სამეცნიერო კვლევა, უნდა იცოდეს, რას ნიშნავს სტუდენტებთან ურთიერთობა,“ — განაცხადა ლალო პაპავამ.

ეკონომიკის პროფესორი რექტორის თანამდებობაზე მის შესაძლო დანიშნვასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება ამ თანამდებობას, თუ სტუდენტთა ან პროფესორთა ჯგუფი დაასახელებს.

„მიუხედავად იმისა, რომ კანონით მაქვს უფლება, ჩემი თავი დავასახელო, მე ამას არ გავაკეთებ... ვინც არ უნდა დაინიშნოს უნივერსიტეტის რექტორად, იმედია, იქნება ღირსეული და იმედი მაქვს, რომ არჩენები მალე დაინიშნება, რადგან ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტს არჩეული რექტორი უნდა ჰყავდეს,“ — განაცხადა პაპავამ და დასძინა, რომ „უნივერსიტეტი არცერთი მთავრობის მონა არ უნდა იყოს“.

ახალ ცვლილებებთან დაკავშირებით, საქართველოს სხვადასხვა უმადლეის სასწავლებლების სტუდენტებმა კურსდამთავრებულებმა და პროფესორებმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი მარგველაშვილის სახელზე მიმართვა გაავრცელეს, სადაც ნათქვამია, რომ გაუგებარია ამ სასწრაფო ცვლილებების მიზანი და მისგან მოსალოდნელი სარგებელი, მით უმეტეს, რომ მათ მომზადებაში ჩართული არ ყოფილა საუნივერსიტეტო საზოგადოება. ისინი პარლამენტში განხილვების შეჩერებას ითხოვენ.

„მიგვანია, რომ ასეთი ფორსირებული ცვლილებები აკადემიური თავისუფლების პრინციპების შეზღუდვას წარმოადგენს, უნივერსიტეტის ავტონომიას ზღუდავს“ — აცხადებენ წერილის ავტორები, რომლებიც კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მის სასამართლოში გასაჩივრებასაც არ გამოიტყვევენ.

გიორგი პაპავაშვილი

პარლამენტარი და ჩქატორი Press-კლუბში

გიორგი ლავთაძე: „ჩვენ არა გვყავს ცხვრებივით მორჩილი აკადემიური საბჭო“

ინტერნეტპორტალ [www.psnews.ge](http://www.psnews.ge)-თან არსებულ Press-კლუბში გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელთან, პროფესორ ომარ ნიშნაიანიძესთან და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ გიორგი ლავთაძესთან. შეხვედრის თემა იყო „უმადლეის განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები, რომელმაც საზოგადოებაში საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.



განსაკუთრებით საკამათო გახდა კანონპროექტის ის ნორმა, რომლის თანახმადაც, რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, განათლების მინისტრის წარდგინების საფუძველზე, პრემიერ-მინისტრი დანიშნავს და ასევე — ცვლილება, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის რექტორობის უფლება მხოლოდ აკადემიური ხარისხის მქონე პირს აქვს. მართალია, საპარლამენტო უმრავლესობა ამბობს, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშნვის წესი დროებითია და არსებული მდგომარეობის განსამუხტად არის შემოღებული, მაგრამ უმცირესობის აზრით, ასეთი მიდგომა განათლებას პოლიტიზირებულს გახდის.

ომარ ნიშნაიანიძე, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრი: „უსაფუძვლოა ლაპარაკი, თითქოს ჩვენ ვცდილობთ, პოლიტიზირებული გადაწყვეტილებებით, „ნაციონალური მოძრაობა“ ჩავანაცვლოთ. არ მიღის „ქართული ოცნება“ ამ გზით. უბრალოდ, ჩვენ გვინდა უმადლეს სასწავლებლებს დაუბრუნოთ ავტონომია, რომლის ნასახიც კი არ დატოვა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. მათ შემოიღეს რეგენტთა საბჭო, სადაც მინისტრის მოადგილეები შეიყვანეს, ეს იმისათვის, რომ სახელმწიფოს კონტროლი არ გაქცეოდა. უნივერ-

სიტეტების სახელმწიფო სამართლის იურიდიულ პირად გადაყვანა ნიშნავს მეტი ავტონომიის მიცემას უნივერსიტეტებისათვის. ჩვენ კანონში შეტანილი ცვლილებებით ვცდილობთ, უნივერსიტეტებზე მოვხსნათ სახელმწიფო კონტროლი.“ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისათვის კი მისაღებია ის ნორმა, როდესაც უნივერსიტეტის რექტორი აკადემიური საბჭოს ირჩევს.

გიორგი ლავთაძე: „უნივერსიტეტში გვაქვს აკადემიური საბჭო, სადაც ბევრი არის „ქართული ოცნების“ აქ-

ნათია ბილინოვა

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე
რედაქტორი: ნანული ცხვედიანი
დანიშნული: ირმა ბახტაშვილი
თარგმანი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი
რეკლამის მენეჯერი: ლელა თოლორაძე
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე
გამომცემელი — შპს „P.S.“ (პოსტსერვიზი).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ა-1401
გაზეთი „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: UDC (უაკ) 3+321 (479.22) (054)
ბ - 658
P - 86
მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.
• (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
• psnews27@gmail.com
• www.psnews.ge

# რატომ არ შურს ნოდარ ხადურს ქუთაისის ახალი მერის?



ნოდარ ხადური და დიმიტრი კობალიანი

გასულ კვირას საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ქალაქის ახალ მერს დიმიტრი კობალიანს შეხვდა. საუბარი შეეხო ქუთაისში ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, გზებისა და ნაგავსაყრელის პრობლემებს. ქალაქის მერის თქმით, ფინანსთა მინისტრისგან, როგორც მმართველი გუნდის წარმომადგენლისგან, დახმარების და მჭიდრო თანამშრომლობის პირობა მიიღო.

„ვიმედოვნებ, რომ შევძლებ, ქუთაისს მოვუტანო მეტი სიკეთე. ჩვენ ვისაუბრეთ კონკრეტული მიმართულებებით დახმარებაზე. მინისტრი შეგვპირდა, რომ იქნება დახმარება და მხარდაჭერა,“ — განაცხადა დიმიტრი კობალიანმა. შეხვედრის შემდეგ, ქალაქის მერმა ფინანსთა მინისტრთან ერთად ავტობანზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა. სამუშაოების დათვალიერების დროს, ქალაქში არსებულ პრობლემებზე საუბრისას, ფინანსთა მინისტრმა ქალაქის მერს მიმართა:

„სიმაართე გითხრათ, თქვენი ნამდვილად არ მშურს, რადგან პრობლემებით სავსე ქალაქი ჩაიბარეთ“. თუმცა, ხადურის თქმით, პრობლემების მიუხედავად, ქუთაისი შეძლებს დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კუთხით.

შეხვედრაზე ასევე გაუღიზიანა ქუთაისის მერიის ინიციატივა, რომლის თანახმადაც, შესაძლოა, ქუთაისის ე.წ. შემოვლითი გზა ნიკეას დასახლებას შეუერთდეს.

„ქუთაისის მერიის ინიციატივა უკ-

ვე არის დამუშავების პროცესში. ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად ვსწავლობთ ამ საკითხს და არ არის გამორიცხული, ავტობანი ნამდვილად შეუერთდეს ნიკეას დასახლებას, რაც მეტ სარგებელს მოუტანს ქალაქს,“ — განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა. მისი თქმით, ავტობანზე სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. მშენებლობაზე 1000-მდე ადამიანი დასაქმებული.

ავტობანის მონახულების შემდეგ, ქუთაისის მერი ფინანსთა მინისტრთან ერთად ვარციხის ბუტონის ქარხანაშიც იმყოფებოდა.

მარი პაპარაია

# კველი გამოცდილების თანამედროვე ალტერნატივა. ანუ რა არის „ინბოქსი“?

ჩვენი ოჯახის წევრების, ნათესავების, მეგობრების და, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავის გამოცდილებასაც თუ გავიხსენებთ, ფულის შეგროვება უმეტეს შემთხვევაში, საკმაოდ რთულია ხოლმე. არადა, რამდენი სურვილი გვაქვს, რამდენი მიზანი, რამდენი რამის ყიდვა გვინდა, რამდენი კეთილი საქმის გაკეთების სურვილი გვაქვს გარშემოყოფებისთვის...

დაიწყებ გროვებას გოჭის ან ბაჭის ფორმის ყულაბაში, შემოდებ სადმე თაროზე, გამოსაჩენ ადგილას, და როგორც კი მცირე თანხა დაგროვდება, შემოგვხარვება.

გახსნი ბანკში ანაბარს და ვალდებული ხარ, ყოველთვიურად კონკრეტული ოდენობის თანხა შეიტანო, რაც ყოველთვის, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება.

მოკლედ, თითქმის გამოუვალი სიტუაციაა, თუმცა გახსოვდეთ — „არასოდეს თქვათ არასოდეს“, რადგან სინამდვილეში „გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს“ და ამას ახლავს შესანიშნავი მაგალითით დაგიმტკიცებთ.

## ამბავი სწავლას მონყურებული ახალგაზრდისა

სხვათა შორის, ზემოთ მეგობრები ტყუილად სულაც არ გვიხსენებია და, საბედნიეროდ, ჩვენი გარშემოყოფა გამოცდილება ყოველთვის უარყოფითი როლითაა.

არსებობს ერთი სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა ადამიანი ვახტანგ ხვედელიძე, მეგობრებისთვის უბრალოდ ვახო, რომელსაც განათლების მიღება მაინცდამაინც ლონდონში სურს.

რამდენჯერმე დაიწყო ამ ჩვენმა ვახომ საჭირო თანხის გროვება, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, მიზეზებს რა გამოიღვეს და — შემოეხარვა.

ერთი პირობა მან ხელიც კი ჩაიქნია, დაივიწყა ცოტა ხნით ბოგ ბენიცი, ბუკინგემის სასახლეც, თუერის ხილიც, ჰაიდ პარკიც — „წვიმიანი ამინდები მაინც არ მიყვარსო“ — თავს იმშვიდებდა, არადა...

ადამიანს ცხოვრებაში მინიმუმ ერთხელ მაინც ხომ უმართლებს ხოლმე და იმედის ნაპერწკალი გაჩინდა კიდევ — მოულოდნელად, ვახოს ნაცნობმა ურჩია, თანხის შეგროვება „ინბოქსით“ ეცადა.

მიღვა, მოღვა, გაარკვია ყველაფერი და იღვა მოეწონა! იმედის ნაპერწკალი ახლა საგრძობლად გადავიწვლია, რადგან სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდას თანხის დაგროვებაში შეძლებისდაგვარად ეხმარებიან ოჯახის წევრებიც, მეგობრებიც და შიგა და შიგ — ნათესავებიც.

მოკლედ, ახლა ვახოს მეგობრები ასე ეხუმრებიან ხოლმე:

— „ინბოქსი“ მიხედ, ხვედელიძე, „ინბოქსი“!!!

ჰოდა, ისეთ ყურადღებას აქცევს, თქვენი მოწონებულნი...

\*\*\*

ამ ფაქტმა იმდენად დაგვიანტერესა, გადავწყვიტეთ „ინბოქსის“ შესახებ და-

მატებით ინფორმაცია მოგვეძიებინა, ხოლო რაც გავარკვეით, თავდაც იმდენად მოგვიხიბლა, გესურს, ყველაფერი თქვენც დეტალურად მოგიყვებო!

პირველი, რომ „ინბოქსი“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთ ახალგაზრდას მიზანმიმართულად მიიყვანს და მეორე — სურვილი და ოცნება იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე ადამიანები არსებობენ და იქნებ თქვენც გეცადათ?

პირველ რიგში დავეუკავშირდით ეკონომიკის ექსპერტებს, თუ ჰქონდათ რაიმე სახის ინფორმაცია „ინბოქსის“ შესახებ და საინტერესო პასუხიც მივიღეთ: ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა ასოციაციის გამგეობის წევრი მერაბ ჯანიაშვილი „ინბოქსი“ ქართულ რეალობაზე საუკეთესოდ მორგებულ საბანკო პროდუქტს უწოდებს.

— რა თქმა უნდა, „ინბოქსი“ ქართულ ბაზარზე ინოვაციურია და მსგავსი სახის პროდუქტი აქამდე არასოდეს ყოფილა. იმის გამო, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს საშუალება, ბანკებში ანაბარებზე მსხვილი თანხები შეიტანოს, შედეგად იმას ვიღებთ, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში დეპოზიტების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. აქედან გამომდინარე, მოსახლეობისთვის ისეთი პროდუქტის შეთავაზება, რომელიც მცირე თანხებით დაგროვების საშუალებას იძლევა და თან ძალიან მარტივად, მარტივად სწორი მიდგომა ბაზართან მიმართებაში, — ამბობს მერაბ ჯანიაშვილი.

\*\*\*

„ინბოქსი“ რომ მართლაც ინოვაციური და უნიკალური საბანკო პროდუქტია, შეგიძლიათ, ეს საკუთარ თავზე ახლავთ გამოსცადოთ, თუმცა ყველაფერში უკეთ რომ გაერკვეთ, ყველა შესაძლო კითხვაზე პასუხებს აქვე გაცვანით.

გვესაუბრება ლაშა გოგუა, ბანკ „კონსტანტას“ მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი:

— ბატონო ლაშა, „ინბოქსი“ სულ მოკლე ხანში მართლაც საკმაოდ პოპულარული გახდა, მარტივად გკითხავთ — როგორ?

— მოდი, შეგახსენებთ, რომ „ინბოქსი“ ბაზარზე მიმდინარე წლის თებერვალში გამოვლენით და დღეს უკვე, დაახლოებით, 70 ათასი მომხმარებელი გვყავს. ეს კი მართლაც კარგი მაჩვენებელია, თუმცა პროდუქტის პოპულარობიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, წინ კიდევ ბევრი სასიამოვნო სიურპრიზი გველის. რაც შეეხება კითხვას — თუკი ადამიანს სურს გარკვეული თანხის დაგროვება, „ინბოქსი“ მას ამის რეალურ საშუალებას აძლევს. შესაბამისად, როცა ნახეს დადებითი ფინანსური ეფექტი, რომ გაუთვალისწინებელ შენაძენებს აღარ აკეთებენ და დაგროვება შესაძლებელია მინიმალური შენატანითაც კი, მივიღეთ ის შედეგი, რომელიც გვაქვს.

სხვათა შორის, თავად მომხმარებელი არ არის ერთგვაროვანი, ანუ ყველა ერთნაირად არ ავროვებს და გვაქვს ძალიან დიდი განსხვავებები. მაგალითად, ზოგი ავროვებს ბიზნესისთვის, არის ჯგუფური დაგროვების შემთხვევებიც, როცა ერთი კონკრეტული მიზნისთვის შეგიძლია შენი „ინბოქსის“ ნომერი უთხრა რამდენიმე ადამიანს — ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს და ერთად დაიწყეთ თანხის გროვება. „ინბოქსის“ შესაძლებლობები იმდენად შეუზღუდავია, რომ მომხმარებელი თავადვე ახდენს ახალი ვარიანტების მოფიქრებას.

— საინტერესოა, უფრო მეტი პოპულარობა რა ასაკის ადამიანებში მოიპოვა „ინბოქსმა“?

— სხვათა შორის, მოზარდებიც კი ძალიან დაინტერესებულნი არიან, თუმცა იმის გამო, რომ არასრულწლოვანები არიან, ფიზიკურად მათი დარეგისტრირება ვერ ხდება და ისინიც სასურველი თანხის გროვებას მშობლების დახმარებით იწყებენ.

რატომ თქმა უნდა, ძალიან პოპულარულია „ინბოქსი“ უფროსი ასაკის ადამიანებშიც, თუმცა მომხმარებლების ძირითად ნაწილს მაინც 18-დან 34 წლამდე ასაკის ადამიანები შეადგენენ. ეს არის ის სეგმენტი, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ საბანკო სფეროში, განსაკუთრებით — „სეი-ვიზების“ ნაწილში, აუთვისებელი ბაზარია. ანუ, ახალგაზრდობა დაინტერესდა და დაიწყო დაგროვება და გარდა იმისა, რომ ბანკისთვის ამას ფინანსური ეფექტი აქვს, ვფიქრობ, ზოგადად, ძალიან კარგი საქმეა, რომ ახალგაზრდა თაობა ფულის დაზოგვას ეჩვევა, რითაც დადებით შედეგს ისევ საკუთარ თავს მოუტანს.

ასევე, იზრდება მათი ფინანსური განათლება, რაც ყველა დამეთანხმება, არანაკლებ მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ძალიან დადებითი და მაღალი აქტივობაა საქართველოს რეგიონებში. მოკლედ, კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორე: „ინბოქსის“ შესაძლებლობები იმდენად ამოუწურავია, რომ ნებისმიერი ასაკის მომხმარებლის ნდობას და მოწონებას იმსახურებს.

— ბატონო ლაშა, როგორ უნდა გახდეს დაინტერესებული ადამიანი „ინბოქსის“ მომხმარებელი?

— „ინბოქსი“ ყველაფერი ძალიან მარტივია, დაწყებული დარეგისტრირებიდან, თანხის დაგროვებით დამთავრებული. „ინბოქსის“ გახსნა შესაძლებელია მსხვილ სავაჭრო ცენტრებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ბანკი „კონსტანტას“ ნებისმიერ ფილიალში, რასაც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და სულ რაღაც 7-8 წუთი სჭირდება. შემდეგ ირჩევ პირადი ანგარიშის 6-ნიშნა ნომერს, რომელიც არის „ინბოქსის“ პირადი ნომერი, რომლის მეშვეობითაც სწრაფი გადახდის აპარატებზე „ინბოქსი“ სასურველ თანხას ჩაივლებს. „ინბოქსი“ გახსნის შემთხვევაში არ არის აუცილებელი პირველად შენატანის გაკეთება, არ არის აუცილებელი, თანხა ყოველთვიე შეიტანო და, ზოგადად, არავითარი ვალდებულება მომხმარებელს არ ეკისრება.

— ალბათ, ყველას კარგად ახსოვს, როგორ განსხვავებულად და საინტერესოდ შემოვიდა „ინბოქსი“ ბაზარზე...

— დიახ! ეს მართლაც ასე იყო, თუმცა დღეს უკვე ყველასთვის გასაგებია, რომ „ინბოქსი“, ეს არის ერთგვარი ყულაბა, რომელიც დაგროვებს სასურველ თანხას, მაგრამ „სახლის“ ყულაბისგან იმით განსხვავდება, რომ დასახარჯად ხელი ყოველ წამს არ მიგიწვდება.

— სამაგიეროდ, მომხმარებელს შეუძლია, „ინბოქსი“ შეიტანოს ის თანხა, რომელიც, თუნდაც, ჯიბეში აქვს შემორჩენილი, არა?

— დიახ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ყველას გვქონია შემთხვევა, როცა გარკვეული თანხა გვრჩება ხოლმე ჯიბეში, არც თუ ისე ბევრი, და შეიძლება ისეთი რაღაც ვიყიდოთ, რომელიც სინამდვილეში არაფერში გვჭირდება. სამაგიეროდ, როცა გვაქვს „ინბოქსი“, ამ მცირე თანხას ერთხელ შეიტან, მერე კიდევ იქნება ასეთი შემთხვევა და ისევ შეიტან... მოკლედ, ნელ-ნელა მცირე-მცირე თანხას ერთმანეთს დაამატებ და, საბოლოო ჯამში, ისეთ შენაძენს გააკეთებ, რომელიც ნამდვილად გამოგადგება. ან

რატომ მაინც და მაინც შენაძენი? არის შემთხვევები, როცა „ინბოქსით“ ბიზნესის წამოსაწყები თანხის გროვება ხდება და ასე შემდეგ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ შეგიძლია შენი „ინბოქსის“ ნომერი უთხრა ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს და თანხის გროვებაში ისინიც დაგეხმარებიან.

— ვთქვათ, სასურველი თანხა დაგვაროვ „ინბოქსი“, შემდეგ რა ხდება?

— თანხის გატანა მომხმარებელს ნებისმიერ დროს შეუძლია „კონსტანტას“ ფილიალებიდან, თუმცა სარგებელს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ მიიღებს.

— და რა ვადით შეიძლება „ინბოქსის“ გახსნა?

— მინიმალური ვადა 1 წელია. ასეთ შემთხვევაში, თანხას ერიცხება 2 პროცენტი, ხოლო თუ 2 წლიანს აირჩევთ, სარგებელი უკვე 5 პროცენტია. მაგრამ რეალურად მთავარი ეს არ არის. როგორც კვლევები გვაჩვენებს, ძირითადი ფაქტორი, რის გამოც მომხმარებლები ავროვებენ თანხას, არის არა სარგებელი, არამედ — ფულის დაცვა საკუთარი თავისგან! როცა ავროვებ „ინბოქსით“, მარტივად თანხის დახარჯვას ვეღარ ახერხებ, საჭიროა ჩვენი ფილიალში მისვლა, რასაც დრო სჭირდება და ამას ყველა ერიდება. რაც მთავარია, ხედავენ, რომ ეს პრიქით, პოზიტიურია, რადგან ყულაბას ისევ საკუთარი თავისგან იცავ, რომ ვადაზე ადრე არ გახსნა, არ დახარჯო თანხა, რომელიც შეიძლება დააგროვო და დიდი სარგებელი ნახო.

— და ბოლოს: რამდენად კმაყოფილი ხართ ამ პროდუქტით?

— ბანკისთვის მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს პროდუქტი რამდენიმე მიზეზით: ვერ ერთი, ეს იყო ახალი სეგმენტი, ახალი მიმართულება და ახალი პროდუქტი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ 70 ათასი კლიენტთან ნახევარზე მეტი ახალი კლიენტია, რომელსაც აქამდე ბანკთან შეხება არ ჰქონია.

Ⓜ

# საქართველოში ნარჩენების მართვის ახალი სტანდარტი დაინერგება

13 ივნისს ქუთაისის მერიაში ნარჩენების მართვის ახალი სახელმწიფო სტრატეგიის პრეზენტაცია გაიმართა. „ნარჩენების მართვის თვინვების პროექტის ფარგლებში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა, პროექტის ხელმძღვანელებთან ერთად, ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების პერსპექტივებსა და ამ სფეროში შემუშავებულ ახალ სტანდარტებზე ისაუბრეს.

მომხსენებელთა თქმით, უკვე შემუშავებულია შესაბამისი კანონპროექტი, რომლის კანონად მიღებამდე საჭიროა მისი გაცნობა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და სხვადასხვა წვდებისთვის, რათა მიღებულ იქნას შენიშვნები და მისაზრებები კანონპროექტთან დაკავშირებით. „პროექტი მიმდინარეობს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში. დღეს

გვაქვს პირველი შეხვედრა ქუთაისში. ჩვენი მთავარი მიზანია, შემუშავდეს ნარჩენების მართვის საკანონმდებლო ბაზა, ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიაზე, რომელიც ერთ-ერთი ფუნდამენტური დოკუმენტი იქნება ამ სფეროში. ამ ეტაპზე შემუშავებულია კონცეპტუალური ვარიანტი და, პროექტის ფარგლებში, ჩვენ ვმარ-



თავთ შეხვედრებს რეგიონებში. პირველი რეგიონი არის იმერეთი. მივიღებთ

ყველა შენიშვნასა და რეკომენდაციას, რაც ექნება ქუთაისის მერიასა და ქალაქის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს პროექტთან მიმართებაში,“ — განაცხადა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის უფროსმა ალევან ჩანჭყელიანმა.

„ძალიან საინტერესოა პრეზენტაცია. ჩვენ განვიხილეთ ახალი სტანდარტები, რომელიც უნდა დაინერგოს ნარჩენების მართვის სფეროში, რაც, ვფიქრობ, იქნება ძალაში ეფექტური,“ — განაცხადა ქალაქის მერმა დიმიტრი კობალიანმა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქუთაისში ნიკეას ნაგავსაყრელის ბელსაც. როგორც პროექტის ავტორებმა აღნიშნეს,

უახლოეს მომავალში მოხდება ნიკეას ნაგავსაყრელის დახურვა, ახალი ნაგავსაყრელი კი თანამედროვე სტანდარტებით მოეწყობა. პროექტი დაფინანსებულია „ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტის“ მიერ და მას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, ევროპულ პარტნიორობასთან ერთად. შემუშავებული კანონპროექტი პარლამენტში განსახილველად, საგარეო ურთიერთობების მინისტრის განკარგულებაში გადაეცემა. წლის ბოლოს კი მზად იქნება სამართლებრივი საფუძვლებით გამყარებული ნარჩენების მართვის ახალი სტრატეგიული გეგმა.

მარი პატარია psnews.ge

## შპს მისო „იმერკრედიტი“ პარტნიორებს

აუდიტორი კომპანია „აუდიტ-პროფესიონალის“ აუდიტორებმა ჩატარებულ შპს მისო „იმერკრედიტი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ბალანსისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ყველა მნიშვნელოვანი

სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისაგან.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა

და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე — შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დაეცვათ ეთიკის

მოთხოვნები და იმგვარად დავეგმოთ და ჩატარებულ აუდიტს, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის — ფინანსური ანგარიშგების არსებით უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რათა დაგვეგოს მოცემული კონკრეტული გარემოების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე — მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მისო „იმერკრედიტი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.



აქტივები	31.12.2012	31.12.2011
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>		
ძირითადი საშუალებები	284 528	206 039
გადავადებული საგადასახადო აქტივი	0	2 946
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>284 528</b>	<b>208 985</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>		
გადავადებული საგადასახადო აქტივი		
კლიენტებისათვის მიცემული სესხები	1 332 205	2 185 476
მისაღები პროცენტები	65 998	55 166
სხვა აქტივები	1 656	1 656
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12 014	69 135
გადავადებული სესხები	-189 549	-40 763
<b>სულ მიმდინარე აქტივები:</b>	<b>1 222 323</b>	<b>2 270 670</b>
<b>სულ აქტივები:</b>	<b>1 506 851</b>	<b>2 479 655</b>
<b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		
<b>კაპიტალი და რეზერვები</b>		
განადგობილი საწესდებო კაპიტალი	302 000	302 000
საემისიო (დამატებითი) კაპიტალი	0	220 000
აკუმულირებული მოგება/ზარალი	351 182	579 689
<b>სულ კაპიტალი და რეზერვები</b>	<b>653 182</b>	<b>1 101 689</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		
გადავადებული ვადასახადი	7594,38	31
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	81382,28	109665
საიჯარო შენობის გამოყენების ღირებულება	60000	60000
სესხი	505 619	899 928
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>654 596</b>	<b>1 069 624</b>
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		
საგადასახადო ვალდებულებები	-44 209	1 730
დარიცხული პროცენტები	5 573	10 892
ვალდებულებები ფინანსური ღირებულების მიხედვით	28 282	24 365
სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	209 427	271 355
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>	<b>199 073</b>	<b>308 342</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>1 506 851</b>	<b>2 479 655</b>

მოგებისა და ზარალის წლიური ანგარიშგება 2012 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2012 წ.	2011 წ.
საპროცენტო შემოსავლები	680042	1018534
საპროცენტო შემოსავლები	34157	59178
მიღებული ჯარიმები	15	4136
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან შემოსავალი	0	0
სხვა შემოსავლები	29010	13811
<b>სულ შემოსავლები</b>	<b>743223</b>	<b>1095659</b>
<b>საერთო მოგება</b>	<b>743 223</b>	<b>1 095 659</b>
შრომის ანაზღაურება	142 634	131 865
ზარალი სესხის შესაძლო დანაკარგებიდან	194 872	1 973
ადმინისტრაციული ხარჯები	104 193	67 807
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>301 523</b>	<b>894 014</b>
ზარალი სესხის გადაფასებიდან	0	65 352
სხვა ხარჯები		
საპროცენტო ხარჯები	121 453	245 955
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>180 070</b>	<b>582 707</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	27 011	87 406
<b>საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება</b>	<b>153 059</b>	<b>495 301</b>

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების წლიური ანგარიშგება 2012 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	საწესდებო კაპიტალი	რეზერვები და ვადასახადი	აკუმულირებული მოგება-ზარალი	სულ
<b>31.12.2010 წლის ბოლო</b>	<b>302 000</b>	<b>220 000</b>	<b>395 988</b>	<b>917 988</b>
დოვიდენდი	0,00	0,00	-311 600	-311 600
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	0,00	0,00	495 300	495 300
<b>31.12.2011 წლის ბოლო</b>	<b>302 000</b>	<b>220 000</b>	<b>579 688</b>	<b>1 101 688</b>
დოვიდენდი	0,00	0,00	-352 000	-352 000
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	0,00	0,00	123 493	123 493
დამატებითი კაპიტალის ამოღება		-220 000,00		-220 000
<b>31.12.2012 წლის ბოლო</b>	<b>302 000</b>	<b>0</b>	<b>351 181</b>	<b>653 181</b>

საწარმოს დასახელება: შპს მისო „იმერკრედიტი“  
იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი გ. ტაბიძის ქ. №12  
საქმიანობის სახე: ფინანსური მომსახურება  
ზომის ერთეული: ლარი

# პოლიტიზირებული ბავშვები

## „შეიძლება საფრთხე შეექმნას მოზარდის ფსიქიკას“

პოლიტიკა აქტიურად იპყრობს და იმორჩილებს მოზარდთა გონებას. სკოლებში და სკოლებს გარეთ ხშირად გაიგონებთ 14-15 წლის ბავშვების მსჯელობას, კამათს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. მიუხედავად იმისა, რომ ასაკობრივი ზღვარი არ იძლევა თანატოლთა „ვილაციტებად“ დაყოფის საშუალებას, გვინდა — არ გვინდა, გვესმის — არ გვესმის, ყველა პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, დასკვნებს კი ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ვაკეთებთ.



თავად ბავშვების აზრი ამ თემასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია.

16 წლის **დავით ხურციდის** თქმით, ბავშვი არ უნდა იყოს პოლიტიზირებული: „თუ 13-15 წლის მოზარდი თავადაც უნდა ადევნებს პოლიტიკურ ამბებს, ეს, პირველ რიგში, ოჯახის ბრალია, რადგან მშობლები არ უტარებენ იმის კეთებას, რაც მათთვის იმ მომენტში მნიშვნელოვანია (რეალურად ეს ასე არაა), თუმცა, თუ მის პიროვნებაში დევს რაღაც ისეთი, რაც კომპიუტერის თამაშს საინფორმაციოს ყურებს, ან რომელიმე პარტიის აქციაზე სიარულს ამჯობინებს, მაშინ ის სხვებისაგან განსხვავებული გაიზრდება, პიროვნულად უფრო მაღალ საფეხურზე, ყოველთვის ქვეყნის სამსახურში იქნება.“

რეზულტი პოლიტიკაში:

„არასრულწლოვანი, ისევე როგორც სრულწლოვანი, ვალდებულია, იცოდეს და თავადვე იყოს ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან, ადრე თუ გვიან, მოუწევს თავადვე გააგრძელოს ეს გზა...“  
რამდენად მიზანშეწონილია მოზარდის პოლიტიკაში აქტიური ჩართვა, რა

განაპირობებს უნებურად გამოწვეულ ქმედებებს? — ამ კითხვებს ფსიქოლოგი **მარინე სირბილაძე** პასუხობს.

„ბავშვი თავად ვერ აცნობიერებს ბევრ პოლიტიკურ საკითხს, მისი შეხედულება ამ თემასთან დაკავშირებით მყარდება მშობლის პოზიციის საფუძველზე. სწორედ ამ პოლიტიზირებულობამ, შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის ფსიქიკას,

ვინაიდან, როგორც იტყვიან, პოლიტიკა „ბინძური საქმეა, ბავშვს კი სძულს ეს ყოველივე.“ — აღნიშნავს მარინე სირბილაძე.

ბავშვის პოლიტიკაში ჩართვა დამოკიდებულია, როგორც ოჯახზე, ასევე სკოლაზე, სადაც ის იზრდება. ცნობილია და ყველას ახსოვს ფაქტები, როცა საჯარო სკოლებთან მოსწავლეების პოლიტიკუ-

რი პარტიის აქციაზე წასაყვანად მოხილულნი იყვნენ მანქანები.

იურისტი **გიორგი მშვენიერაძე** ამბობს, რომ სკოლები ვალდებული არიან, მოსწავლეებთან აგიტაცია არ დაუშვან.


„ბავშვს, შესაძლოა, ჰქონდეს მისი პირადი პოლიტიკური შეხედულება, თუმცა კანონმდებლობის მოთხოვნებს აბსოლუტურად ვეთანხმები. სკოლაში ბავშვის პოლიტიკური აღზრდა არასწორად მიმდინარეობს. ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, სკოლა თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური გაველენისგან. შესაბამისად, სკოლის ვალდებულებაა, მოსწავლეებთან პოლიტიკური აგიტაცია არ დაუშვას, თუმცა დანაშაული არ არის. რაც შეეხება მასწავლებლებს, მათ აქვთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა ნებისმიერ აქციაში, ამავდროულად, თუ ამას სამუშაო დროს აკეთებენ (და ეს არ არის გაფიცვა), სკოლის ადმინისტრაციამ უნდა დააკისროს პასუხისმგებლობა (დისციპლინარული). ბავშვების უფლებების დარღვევა იქნება თუ არა მსგავსი ფაქტი, ამის თქმა შეუძლებელია. თუ მასწავლებლებმა აღადგინა მის მიერ გაცდენილი საათები, მაშინ არ ითვლება,“ — ამბობს იურისტი გიორგი მშვენიერაძე.

მიუხედავად იმისა, რომ იურისტებისა და ფსიქოლოგების მიერ არ არის რეკომენდებული სკოლის მოზარდების გარემოცვაში პოლიტიკაზე საუბარი, ზემოთაღნიშნული მიზეზების გამო საზოგადოება ვერ აცნობიერებს საკითხის პრობლემატურობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის საზოგადოების ერთიანობასა და განვითარებას.


**მარიამ ელიაშვილი,**  
X კლასის მოსწავლე

# ვაგონში დახვრატას გადაჩენილი ბიჭის ამბავი

1921 წელს საქართველომ 117 წლიანი ოკუპაციური რუსული უღელი ისევ დაიბრუნა. ეს არ ყოფილა ქართველების ნება, მაგრამ ისეთი საშიში მეზობელი, როგორც რუსეთია, თავს ახვევს მსოფლიოს თავის იმპერიალისტურ ზრახვებს და, სამწუხაროდ, ამ ზრახვების მსხვერპლი ხდებოდა და ხდება საქართველო. სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკური ფრთის ხელშეწყობით, ქვეყანამ სამწლიანი ნანატრი თავისუფლება დაკარგა, რის გამოც არალეგალურად შეიქმნა ე.წ. „დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელსაც, ძირითადად, ქართველი არისტოკრატია შეადგენდა.



ვასილიო ვაშვაშვილი



ამ კომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველოს ყველა კუთხესა და თბილისში ერთიანი გამოსვლის თარიღად დადგინდა 1924 წლის 29 აგვისტოს დილის 6 საათი. ცენტრთან შეუთანხმებელი მოქმედების და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატთა უთავბოლო საქმიანობის შედეგად, ქალაქ ჭიათურაში გამოსვლები დაიწყო 24 საათით ადრე, 28 აგვისტოს. ამან დიდი დაღი დაასვა აჯანყების შემდგომ მსვლელობას. მართალია, ამბოხებულებმა შეძლეს ჭიათურის და ზოგიერთი სხვა ქალაქის (სენაკი, სამტრედია და სხვა) აღება და საქართველოს ემიგრირებული მთავრობის იურისდიქციის აღდგენა გამოაცხადეს, მაგრამ აჯანყება განწირული იყო. ორ კვირაში ჩეკას და წითელარმიელთა რაზმებმა სისხლის

გუბები დააყენეს ყველგან, სადაც კი თუნდაც მცირედი ეჭვი გაჩნდებოდა. განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს ქართველი არისტოკრატული გვარების წარმომადგენლებზე (აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის 7% იყო დიდგვაროვანი). ზემო იმერეთში, ძირითადად, ცნობილი იყო წერეთლების, აბაშიძეებისა და მაჭავარიანების საგვარეულო სახლები, რომელთა გენოციდის, პოლიტიკურის გარდა არისტოკრატული ნიშნის გამოც აწარმოებდნენ ბოლშევიკები. ვალიკო (ვალერიან) მაჭავარიანის თავდასაყვანად პირველ პირში გთავაზობთ, ეს მისმა ქალიშვილმა ლეილა მაჭავარიანმა მოგვითხრო. ხუთი წლის მამა ბედად გადაჩენია 1924

წელს შორაბნის სისხლიან ეპიზოდს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს სევასტოპოლთან გერმანულ ტყვიას საბოლოოდ გაუჩერებია მისი მაქისცემა... აი, რა უამბობს თავის დროზე მას ოჯახის წევრებისათვის: „1924 წლის აგვისტოში დეიდამ ქვამარილის საყიდლად გამგზავნა საჩხერეში. როცა ქვამარილი ვიყიდე პრამონ ჩაჩანიძესთან, უკან გბრუნდებოდი საჩხერეიდან ჩვენს სოფელში, ორღულში. გზაზე სამხედრო პირებმა დამაკავეს, სახელი და გვარი მკითხეს და ვაგზალში მიმიყვანეს. იქ, ვილაც უფროსის განკარგულებით, ხალხით სავსე ვაგონში შემეყვანეს. საღამო ხანს ჭიათურაში ჩავიყვანეს, იქიდან ზესტაფონისკენ წავიდით. ღამით საღურს

მოგვაცილეს და საღაც, სხვა ლიანდაგზე გადაგვიყვანეს. უცერად ტყვიამფრქვევის ხმა მოისმა და ვაგონში ყველაფერი აირია. გაისმა პეტრე წერეთლის ხმა — ბავშვები „შუაგულში“ მოათავსეთო, და ვილაცის ძლიერმა ხელმა ვაგონის სიღრმეში შემაცურა. მალე გონება დაგვარგა. როდესაც გონს მოვედი, მთელი სხეული მტკიოდა და სისხლით ვიყავი დასველებული. არ ვიცოდი, დაჭრილი ვიყავი თუ არა. ირგვლივ უკვე ერთმანეთში იყო არეული მკვდარი, ცოცხალ-მკვდარი და დაჭრილი. ვილაცა ყვიროდა: ვაგონის კედელს მიაწეკით, ფანჯრის მხარეზე, მდინარისკენ მიაწეკითო. სარკმელთან კედელი გაიღრღინა, მკვდარ-ცოცხალი მასა ვაგონიდან მიწაზე გადაეშვა. მე

ქვემო მოვეცი, ალბათ, ფერდობი თუ იყო, მდინარისკენ რომ დავგორდით. ტყვია წვიმასავით მოდიოდა. სასწაულით გადავრჩი. ჩავყავი თავი ყვირილში და წყლის ღინებას წავეცი. როდესაც ჩვენი დახვრეტის ადგილს საკმაოდ დავშორდი, მდინარის მეორე ნაპირზე გავვედი. თენდებოდა, წყლიდან ამოვედი, ტანისამოსი გავიხადე, რამდენიმე საათი წყალში ვიყავი და ტანსაცმელი მაინც სისხლიანი მქონდა. რაც მეცვა, ყველაფერი გავრეცხე და დღისით მზეზე გავაშრე. დაღამებამდე ყვირილას პირას, თხმელებში ვიწეკი. სამი დღე იყო გასული, მას შემდეგ, რაც ხალხი დახვრეტეს. საჭმელი მხოლოდ ერთხელ ვჭამე, ხარაგოულში მწყემსებმა თავი-

სი საგზალი გამიზიარეს. შემდეგ ხარაგოულში, ერთ ეზოში, ქვაზე ქალის კაბა და თავშალი იყო გაფენილი, შევიპარე და ავიღე. დაძახება ვერ გავებდე. უცხოდ რომ დამინახავდნენ, შემეშინდა, ვინმეს არ დავესმინე, რადგან ბოლშევიკები დადიოდნენ და თავდაზნაურობას ეძებდნენ.

გავიხადე ჩემი ტანსაცმელი, ტანზე შემოვიკარი და კაბა გადავიცივი, თავშალი თავზე შემოვიხვიე, ხელში ჯოხი დავიკავე. ჭიათურას შორიდან მოვუარე და კორბოულში გადმოვედი.

საჩხერეში ბიძასთან, სამსონ ციმაკურიძესთან, მივედი დახმარების სათხოვნელად. ბიძა სამსონმა თავის მეზობელთან და ახლო მეგობართან, ვასილ ღურშიშიძესთან მიმიყვანა. ავუხსენით მომხდარის შესახებ.

ბიძა ვასილმა ის ღამე და მეორე დღე საღამომდე ბედელში დამშალა. შემდეგ სოფლის განაპირას ერთ ნათესავთან ვიმალეობოდი. შემდეგ ახლობლებმა თბილისში ჩამიყვანეს, იქ ჩემი საქმე განიხილეს და, როგორც უღანაშაულთა, გამათავისუფლეს.“

\*\*\*

ვალიკოს ხუთი შვილიდან ახლა მხოლოდ ორი შვილია ცოცხალი, თუმცა მაჭავარიანის სისხლი 17 შვილიშვილში დაედინება, ისინი რუდუნებით უსმენენ ისტორიას, რომელიც ასობით ქართული ოჯახისთვის თითქოს ერთმა შემოქმედმა დაწერა და 1924 წელი დაარქვა.

**როლანდ ხოჯანაშვილი**

# მსოფლიო მნიშვნელოვან გამოგონება, როგორც საქართველოს დაეკარგა

## ინტერვიუ ცემენტის სიმტკიცის საზომი უნიკალური ხელსაწყო ავტორთან, აკაკი ირომაშვილთან

აკაკი ირომაშვილი ერთი უბრეტენო ადამიანია, რომელსაც ნოვაციებისადმი სწრაფვა ახასიათებს და უბრეტენო გამოგონების ავტორიც გახლავთ. მას ამ ეტაპზე თავისი უნიკალური აპარატი ბრიტანეთში აქვს გაგზავნილი სერტიფიცირებისათვის. ოჯახის წევრებთან ერთად ის ენერჯეტიკულ პროექტზეც აპირებს მუშაობას, თუმცა დღეს „პოსტსოციალიზმი“ მას სულ სხვა თემაზე ესაუბრა.

— მართალია, რომ ცემენტი ქართველმა გამოგონა, თუ ესეც იმ ოპერაციის ნაშთია: „რაც მგერები ვართ, ქართველები ვართ“? მგონი, სხვა მოსაზრებაც არსებობს ამ საკითხზე...

— პორტლანდცემენტი, მართლაც, გენეტიკურად ქართველის გამოგონებულა. 1724 წელს რუსეთში გადასახლებული ვახტანგ VI 1200 კაციან ამაღალში აზნაური რევაზ ჰელიძე შედიოდა. მის შვილიშვილს, ივანე გერასიმეს ძე ჰელიძეს, ფორტუნამ არაგუნა ისტორიაში შესულიყო, როგორც პორტლანდცემენტის გამოგონებელი. ამალის წევრებთან უმრავლესობამ, რომელთაც, ცოტა მოგვიანებით, ლეკთაგან თავდახსნილი დავით გურამიშვილიც შეუერთდა, რუსეთის ხელმწიფის ტახტს შეპყრობეს ერთგულება და სამხედრო კარიერის დამთავრების შემდეგ იქ დასახლდნენ... ამ ამალის წევრებმა და მათმა შთამომავლობამ უდიდესი როლი შეასრულეს რუსეთის ისტორიაში. მარტო ბაგრატიონისა და ბორიშინის (რომლის ნამდვილი გვარი გედევანიშვილია) გვარები რად ღირს! საერთოდ, დღემდე ვერ მომიხსენებია, რომ ისეთმა კულტურტრეგერმა მეფემ, როგორც ვახტანგ VI იყო, ასეთი რამ დაუშვა, რომ ქართლი, ფაქტობრივად, ინტელექტისაგან დაცალა!

მაგრამ დავუბრუნდეთ თემას. 1825 წელს ივანე ჰელიძემ გამოცა ნაშრომი, რომელსაც მეტისმეტად გრძელი დასახელების გამო არ მოვიყვან, მოკლედ კი „სრული დარიგება“ ჰქვია. აქ ჰელიძე მიუთითებს, რომ საუკეთესო ხარისხის შემკვრელი მასალის მისაღებად საჭიროა კირქვისა და თიხის ნარევის თეთრ ვარვარებამდე გატანა და ნაწილობრივი გაღობა.


დღეისთვის ცნობილია, რომ პორტლანდცემენტის კლინკერში მთავარი მინერალის, სამკალციუმიანი სილიკატის წარმოქმნა ხდება 1400-1450 გრადუსზე, როცა კაში მართლა თეთრ ვარვარებამდე მიყვანილი და ხდება მისი შეცობა და ნაწილობრივი გაღობა.

ჰელიძეზე რამდენიმე თვით ადრე, ახალ შემკვრელ მასალაზე ინგლისელებმა 1824 წლის ბოლოს გასცეს პატენტი ჯოზეფ ასპდინზე და იქიდანვე მოდის დასახელება „პორტლან-

დცემენტი“, რაკი მის მისაღებად საჭირო მასალა ინგლისის ისტორიულ რეგიონს, პორტლენდს უკავშირდება... მაპატიოს მისტერ ჯოზეფის სულმა, მაგრამ მის მიერ აღწერილი მასალა არ წარმოადგენს პორტლანდცემენტს (თანამედროვე გაგებით), არამედ რომანცემენტის ერთ-ერთი ნაირსახეობაა, რომელსაც სიმტკიცის მაჩასიათებლებით უშუალოდური ადგილი უჭირავს ჰიდრაულიკურ კირსა და ნამდვილ პორტლანდცემენტს შორის. ივანე ჰელიძის ცემენტს, როგორც ისტორიული წყაროებით დასტურდება, ჯერ კიდევ ნაპოლეონის მიერ დანგრეული მოსკოვის ასაშენებლად იყენებდნენ, და რომ არა არხეინობისა და ლუარსაბობის ის დამლუბველი სინდრომი, რომელიც გენეტიკურად მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა ქართველშია ჩაბუდებული, ივანე ჰელიძის სახელზე პატენტი, სულ მცირე, ათი წლით ადრე უნდა გაცემულიყო. ეს ყველაფერი ქართველი კაცის სინანულის თანხმობა კანონიერი სიამაყის გრძობას უნდა იწვევდეს. პორტლანდცემენტი ხომ (რკინა-ბეტონთან ერთად) კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი გამოგონებაა! რა იქნებოდა თანამედროვე მშენებლობა მათ გარეშე?

— რამდენად დაუფასდა ივანე ჰელიძის თავისი გამოგონება?

— საქმეა, რას გააკეთებდა იგივე ივანე ჰელიძე, პაპამისი საქართველოში რომ დარჩენილიყო? ალბათ, ვერაფერს... თუ ლეკთაგან გატაცებას და სტამბოლის ბაზარზე მონად გაყიდვას გადაურჩებოდნენ მისი მამა და პაპა, უკეთეს შემთხვევაში, ალბათ, კრწანისზე ერეკლეს გვერდით იომებდნენ! მაშინდელ საქართველოს (სხვათა შორის, როგორც ახლანდელს) ახალი აღმოჩენებისა და ტექნოლოგიებისათვის არ ეცალა. მაშინ ფიზიკური გადარჩენისთვის ვიბრძოდით, დღეს დემოკრატია გვაქვს ასაშენებელი. მაშინ რუსეთმა „შეგვიფარა“, ახლა ვერო-ამერიკას ვეტმასნებთ! ახლა ტერიტორიები გვაქვს დასაბრუნებელი, ლტოლვილები — დასაბინავებელი; ლგბტ უფლებები — დასაცავი (ვერ გამოვიცა, თუ შარზე არ არიან, ვინ, სად და რაში დაარღვია მათი უფლებები?), განათლება და ჯანდაცვა მისახვედია და ყველაფერს ამას სჭირდება ეკონომიკური ბაზისი, რადგან,



აკაკი ირომაშვილი

თუ ეკონომიკა, რომელსაც ოცი წელია ვანგრევდით, არ აღორძინდა, ყველაფერი ლაპარაკად დარჩება მხოლოდ! ამისათვის კი საჭიროა, პირველ რიგში, მოსახლეობის გამოკვება გენოფონდის გადასარჩენად (და მართლა ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო ბატონმა ბიძინამ, რომ სოფლის აღორძინებით დაიწყო ქვეყნის აღმშენებლობა!). პარალელურად უნდა ვიართო წინ, შევიშოშოთ და დაენერგოთ ახალი ტექნოლოგიები, ყველაფერი ყიდვის უფლებას ჩვენ კი არა, ნავთობის ზღვაზე მდგომი სახელმწიფოები არ აძლევენ თავს! უნდა შევძლოთ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ათვისება. ქართული ტრადიციით ადრე რუსეთი იკვებებოდა, ახლა დასავლეთი იწოვს ყველაფერს. თუ ქართული იდეები და მათი მატარებელი თავები მასობრივად დატოვებენ ქვეყანას, ისე შთანგვთქავს გლობალიზებული მსოფლიო, როგორც მუშტისხელა ქვას — ოკეანე, იმ განსხვავებით, რომ თუ ქვა ფსკერზე მაინც განაგრძობს არსებობას, ჩვენ საერთოდ გავქრებით რუკიდან!

მაგრამ, დავუბრუნდეთ თემას. დღეს ივანე ჰელიძის დავალი სათანადოდაა დაფასებული. 1971 წლის მაისის თვეში, იუნესკოს გვიდით, თბილისში მაშინდელი სპი-ის დიდ სააქტო დარბაზში, ჩატარდა ივანე ჰელიძის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ცემენტის ქიმიის მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტები, მათ შორის — ამ სფეროს კიდევ ერთი უდიდესი ქართველი სპეციალისტი, ოთარ პეტრეს ძე მჭედლოვ-პეტროსიანი (რუსეთის, საქართველოსა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის აკადემიის საპატიო წევრი), რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა და მანამდე ხარკოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა.

ეს ყველაფერი ასე კარგად იმიტომ მახსოვს, რომ იმ სააქტო დარბაზში მეც ვიყავი, როგორც სამშენებლო ფაკულტეტის მესამე კურსის ფრიალოსანი სტუდენტი... აი, ყველაფერი მოკლედ, პორტლანდცემენტის გამოგონებლებზე: ანგლოსაქსური სამე არო მის გამოგონებლად ჯოზეფ ასპდინს მიიჩნევს, ხოლო სლავიანური და ქართული სამყარო, სრულიად სამართლიანად, ივანე ჰელიძეს!

— როგორც ცნობილია, ცემენტის საწარმოებლად საჭირო მასალები,

საქართველოში საკმარისად მეტია, რატომ უნდა ღირდეს ცემენტი ასე ძვირი? რატომ უნდა შემოდიოდეს ჩვენთან ცემენტი სომხეთიდან?

— მარტო ნელდელეულზე რომ იყოს ლაპარაკი, რაღა გვიჭირდა? ახლა კი არა, საბჭოთა პერიოდშიც კი, როცა ენერგომატარებლების ფასი დღევანდელთან შედარებით სასაცილოდ დაბალი იყო, კლინკერის წონის ერთეულის თვითღირებულებაში ენერგომატარებლების წილი 40%-ზე მაღალი იყო! კირქვისა და თიხისგან მომზადებული კაშმის 1450 გრადუსამდე გახურება უზარმაზარ თბურ ენერჯის დახარჯვას ითხოვს. კლინკერის წარმოების წესის მიხედვით, ეს დანახარჯი 3900-6700 კილოვოულს შეადგენს ერთ კილოგრამზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი ტონა კლინკერის საწარმოებლად 130-200 კუბური მეტრი ბუნებრივი აირია საჭირო. ახლა იმას ხომ დაფიქვავ უნდა, რაც ტონაზე კიდევ 130 კვტსათ ენერჯის მოთხოვნა, ამას დაამატეთ კირქვის, თიხის, თაბაშირისა და მინერალური დანამატების ფასი, მუშების ხელფასი, აღმინისტრაციისა და მოწყობილობა-დანადგარების შენახვის ხარჯები, გადასახადები (დღე), მოგების 10-15%-იანი მარჟა და ისე მშვენივრად დაგიჯდებათ ტონა ცემენტის გასაყიდი ფასი 80-85 დოლარი, როგორც დავიხარებია.

მე ის უფრო მაიკვებს, რატომ არავინ ცდილობს ღელფლისწყაროში ერთი საშუალო სიმძლავრის ცემენტის ქარხნის აშენებას, სადაც საუკეთესო ხარისხის კირქვაც ბლომდაა, თიხაც და ტარიანას ველზე უქმად იწვევა ნავთობის მომყოლი ბუნებრივი აირი სპეციალურ ჩირაღდებში! დელიფლისწყარო რკინიგზითაც უკავშირდება დანარჩენ საქართველოს.

ორ-სამ წელში, დარწმუნებული ვარ, ჩვენთანაც დაიწყება მშენებლობის ბუმი და ცემენტი ნამდვილად არ დარჩება გასაყიდი! რაც შეეხება სომხურცემენტს, ის ოდნავ იაფი იმიტომ იყო აქამდე, რომ რუსეთი მათ შედარებით იაფად აძლევდა გავს. ახლა პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ

რუსები გაზის გაძვირებას უპირებენ 270 დოლარამდე! მე ამას არ ვუსურვებ ჩვენს მოძემ სომეხ ხალხს, მაგრამ, თუ ეს მოხდა, ცემენტის წარმოება სომხეთში მოკვდება არაკონკურენტუნარიანობის გამო. რაც შეეხება იმას, თუ რატომ შემოდის საქართველოში სომხური ცემენტი, აბა, ვის მიჰყიდონ, ირანელებმა თავისი ცემენტი, არ იციან, სად წაიღონ (ახლანან ჩვენშიც გამოჩნდა ირანული ცემენტი), თურქებთან და აზერბაიჯანელებთან — უმძაბრად არიან! ცემენტი კონიაკი ხომ არაა, ერთი ტრაილერი დატვირთონ, ჯვრის უღელტეხილზე გადაიარონ და ერევნიდან 450 კმ-ის გავლის შემდეგ რუსეთში აღმოჩნდნენ; ჩაიჯიბონ მილიონი და დაბრუნდნენ უკან! მილიონის ღირებულების ცემენტი კავკასიის პირობებში, სულ მცირე, ხუთ ეშელონს შეადგენს და ამ დროს აფხაზეთის რკინიგზაც ჩაქვტილია!

— ცემენტი შედარებით ახალი მასალაა, რა დადებითი და უარყოფითი თვისებები აქვს კლასიკურ შემ-

კვრლებთან, მაგალითად — კირთან შედარებით?

— ცემენტის არსებობა ჯერ 200 წელსაც არ ითვლის, მაგრამ მან უკვე საკმაო აღიარება მოიპოვა ყველასათვის ხელმისაწვდომობით, მაღალი სიმტკიცით (კირთან შედარებით 15-ჯერ და უფრო მეტჯერ). ცემენტი, როგორც დამოუკიდებელი სამშენებლო მასალა, იმდენად მცირე რაოდენობით გამოიყენება, რომ უმჯობესია, ბეტონზე და რკინა-ბეტონზე ვიმსჯელოთ.

ბეტონი ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული საშენი მასალაა. იგი გამოიყენება ყველა ტიპის კაპიტალურ ნაგებობებში. მას შეიძლება მიეკვს ნებისმიერი ფორმა, რაც კი არქიტექტორის თავში შეიძლება დაიბადოს. მთავარია, ძალიან არ გადაამლაშოს და კონსტრუქტორს დაუტოვოს შანსი, რომ ის განხორციელებადი იყოს! თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა ისეთი ბეტონების დამზადების საშუალებას, რომლებიც სიმტკიცით პირველი კლასის ფოლადებს უახლოვდება. დადებითი თვისებებიდან აღსანიშნავია დიდი ხანმდევობა, სიიფე, ბეტონის საშუაოებისთვის არცთუ მაღალი კვალიფიკაცია, აგრეთვე სიმტკიცის დროში მატება. უარყოფითი თვისებებიდან უნდა აღინიშნოს დაბალი სიმტკიცე ღუნვასა და გაჭიმვებზე (ამ ნაკლის საკომპენსაციოდ გამოიყენება სწორედ მისი დაარმირება, რაც პირველად ისტორიაში ფრანგმა მებაღემ განახორციელა, როცა ყვავილების ქოთანის ფოლადის ბადისაგან დაწვა და ცემენტის ხსნარით შეღვსა. ამ კაცმა რკინაბეტონის წარმოებას მისცა დასაბამი). ბეტონის უარყოფითი თვისებებიდან აღსანიშნავია მისი დიდი მოცულობითი წონა და მაღალი სითბოგამტარობა, რაც დაძლეულია ე.წ. თბილი (ანუ მსუბუქ) ბეტონებში. ბეტონს მშენიან აგრეთველი გარემოს, კერძოდ, მყავდ და სულფატისანი გარემო ბეტონზე ისე მოქმედებს, როგორც ადამიანზე კბო! თუ ხანგრძლივად იმყოფება 600-700 გრადუსზე მაღალ ტემპერატურაზე, მასში მოთავსებულმა არმატურამ შეიძლება განიცადოს მოდიფიკაციური ცვლილება და დაკარგოს სიმტკიცე. სტრუქტურული ცვლილების გავრცელების ნაცვლად თანამედროვე ბეტონით რომ ყოფილიყო აშენებული, დიდი ხნის წინ შეწყვეტდა არსებობა! იგი აქამდე იმიტომ შემორჩა, რომ კვარცი ასოლუტურად მკვრივი მასალაა ამიტომ

სპეციალურ ლიტერატურაში ასამდე მეთოდია დაფიქსირებული, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ახლოსაც ვერ მოვა ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მეთოდთან! ცემენტის 28 დღიან სიმტკიცეს ჩემი მეთოთე შვილი (ხელსაწყო უკანასკნელი მე-7 მოდელი, რომელსაც ჩემი მშობლიური სოფლის პატივსაცემად MELANI-01 დავარქვი!) 5 წუთს ანდომებს!

გაცივნა-გაღობა მას ვერაფერს აკლავს. თუ ბეტონზე ამ ფაქტორების მოქმედება გამოირიცხება, მაშინ ის, პრაქტიკულად, მარადიული მასალა გახდება, რომელსაც დრო ვერაფერს დააკლავს. ასეა თუ ისე, ბეტონს ბევრად მეტი დადებითი აქვს, ვიდრე უარყოფითი, სხვანაირად ასე ფართო გავრცელებას ვერ ჰპოვებდა.

— თქვენ ავტორი ხართ ცემენტთან დაკავშირებული მსოფლიო მნიშვნელობის გამოგონებისა. მოგვიყვით მის შესახებ.

— ყველა გამოგონებას ან გაჭირვება წარმოშობს, ან ადამიანის განუწყვეტელი ლტოლვა სიზარმაცისკენ. მე, პირადად, ამ გამოგონებასთან ღირსების გრძობამ (თუ გინდათ, პატივმოყვარეობა დაარქვით!) მიმიყვანა. თუ თავის ქებად არ ჩამეთვლება, გეტყვით, რომ მე-9 და მე-10 კლასებში სახელგანთქმულ კომაროვის სახელობის სკოლაში ვსწავლობდი 1965-67 წლებში.

გავრცელება მე-7 გვერდზე



# „ვისოლმა“ ქუთაისის „ტორპედოს“ ახალი შენობა-ნაგებობა

14 ივნისს კომპანია „ვისოლმა“ ქუთაისის ცენტრალური სტადიონის სადღესასწაულო დარბაზში ქუთაისის „ტორპედოს“ ახალი შენობა-ნაგებობის საზეიმო პრეზენტაცია გამართა. ამიერიდან ლეგენდარულ გუნდს საერთაშორისო გამოცდილების მქონე ესპანელი მწვრთნელები — ჟერარდ სარაგოზა მულე და ალბერტო ბეროკალ კორეა უხელმძღვანელებენ. მოთამაშეთა რიგებს კი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელები შეუერთდნენ, რომლებმაც პირველად საქართველოს ისტორიაში, 2012 წელს, სლოვენიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში (17 წლამდე ნაკრებებს შორის) ნახევარფინალამდე მიიყვანეს საქართველოს გუნდი.



საზოგადოებრივი პრეზენტაცია

„ტორპედო ქუთაისი“ არის წარმატების დიდი ისტორია, რომელშიც „ვისოლი ჯგუფი“ ახალ ფურცლებს წერს. გუნდის ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით გადახალისება განვითარების ახალ პერსპექტივებს გვსახავს. წელს გუნდს მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა, საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილი მოიპოვეთ, თუმცა ქუთაისის „ტორპედო“ მეტად გაძლიერებისათვის გუნდის კიდევ უფრო გაახალგაზრდაება დაივისახეთ მიზნად. კლუბის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 22 წლამდეა, რაც იდეალური ასაკია მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის. დამატებით, გუნდის წინსვლაზე ამიერიდან მრავალწლიანი, საერთაშორისო გამოცდილების მქონე ესპანელი მწვრთნელები იზრუნებენ და ჩვენ ერთად შექმნილი ქართული ფეხბურთის საუკეთესო მომავალს, გვაქვს ბევრი რამ დაგეგმილი, ჩვენი მთავარი აქცენტი ახალგაზრდების კენსა მიმართულია, — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა ლევან ფხაკაძემ.

„ვისოლმა“ ახალ მთავარ მწვრთნელ ჟერარდ სარაგოზასთან სამწლიანი „შრომითი ხელშეკრულება“ გაფორმა. მის ასისტენტად დიმიტრი თოფურაძე დაინიშნა. ფიზიომზადებას ალბერტო ბერიკალი კორეა უხელმძღვანელებს, მეკარეების მწვრთნელი კონსტანტინე გუგუნიანი იქნება, ექიმი — დიმიტრი ზაალიშვილი, ფიზიოთერაპევტი — რობერტ ზვადგაია.

„ვისოლი ჯგუფი“ ერთ-ერთი უდიდესი ბიზნეს-ჯგუფია საქართველოში, რომელმაც არა მხოლოდ ენერჯეტიკის თითქმის ყველა სფერო მოიცვა, არამედ სამშენ-მშენებლის, სარეკლამო, რესტორნების და ა.შ. ბიზნესსაც აერთიანებს. მას მრავალი შვილობილი ბრენდი ჰყავს.

„ვისოლი“ ერთადერთი ქართული ბრენდია, რომელიც 2010 წელს ევროპის ბიზნესდაჯილდოებაზე წარმატებულ ევროპულ კომპანიათა ათეულში შევიდა. იგი 2006 წლიდან ფლობს ხარისხის მართვის საერთაშორისო სერტიფიკატს. დღესდღეობით



ლევან ფხაკაძე ფეხბურთელებს ახალ მაისურებს გადასცემს

კი ISO 9001-2008-ს მფლობელია. კომპანია 2007 წლიდან ახორციელებს უმაღლესი ხარისხის საწვავის, ევრო 5 სტანდარტის API-ს იმპორტს Falconara Marittima-ს ქარხნიდან. „ვისოლი ჯგუფს“ გაზგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს საკუთრებაში საქართველოში. კომპანია ძალზე აქტიურად ხელმძღვანელობს ქართული სპორტის განვითარების საქმეს. ამისთვის „ვისოლმა“ 25 მილიონი ლარი დახარჯა. ხოლო ქუთაისის „ტორპედო“ გუნდისა და ინფრასტრუქტურისათვის — 10 მილიონი ლარი. 2010 წლიდან აღნიშნული კლუბი „ვისოლის“ საკუთრებაშია და აქტიურად არის ჩაბმული საფეხბურთო წინსვლის საქმეში: ყოველწლიურად 4 მილიონი ლარის ინვესტიციას ახორციელებს. ამის გარდა, „ვისოლი ჯგუფმა“ ჯამურად უკვე 30 მილიონ ლარზე მეტი გაიღო თბილისსა და რეგიონებში ევროპული სტანდარტის სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნისა და,

ზოგადად, ქართული სპორტის განვითარებისათვის.

ამჯერად ახლად დაკომპლექტებული „ტორპედოს“ გუნდი ახალი შემართებითა და ენთუზიაზმით განაგრძობს ბრძოლას წარმატებისათვის. როგორც ახალმა მწვრთნელმა ჟერარდ სარაგოზამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა: „ჩვენი საიდუმლო არის 24 საათიანი მუშაობა და ძველი შედეგების გაუმჯობესება.“

კლუბის პრეზიდენტი დიდ იმედებს ამყარებს ახალგაზრდა სპორტმწვრთნელზე. „მართალია, ისინი ახალგაზრდები არიან, მაგრამ არ აკლიათ გამოცდილება და მიზანდასახულობა. ეს პროფესიონალი მწვრთნელები კი ყველაფერს გააკეთებენ შემდგომი გამარჯვებისთვის,“ — განაცხადა ბატონმა ლევანმა.

მან სპორტმწვრთნელს ახალი მისიურები გადასცა და გზა დაულოცა წარმატებებისაკენ.

შანა ჯანელიძე

# მსოფლიო მნიშვნელოვან ბაზრებზე, როგორც საქართველოს დაეკარგა

## ინტერვიუ ცემენტის სიმტკიცის საზომი უნიკალური ხელსაწყოთა ავტორთან, აკაკი ირომაშვილთან

მე-6 გვერდიდან

ყველა საგანში ძლიერი ვიყავი, განურჩევლად იმისა, ზუსტი იყო მეცნიერება, თუ პუბლიცისტური, თუმცა ამ სკოლის დამთავრება არ დამაცალა მაშინ ჩემს თავზე დატვირთვა რამდენიმე ტრაგიკულმა მოვლენამ, რაზედაც დღემდე ვამჯობინებ. საშუალო სკოლის ატესტატი გურჯაანის პირველმა სკოლამ მომიცა. ამიტომ, თავის დროზე გავრცელებული ჭორი, თითქმის ეს მეთოდი ვილაკ უბრის შემემუშავებინოს, სიცრუე! ამ მეთოდის შემოქმედებელს შესანიშნავად უნდა სკოლაში არაბრუნდებოდა არაბრუნდებოდა ჩემი, კლასიკური ფიზიკა, მათემატიკა და, ამასთან ერთად, მშენებელიც უნდა ყოფილიყო, რათა საკუთარ ტყავზე გარძნო ის შედეგები, რასაც ამ მეთოდის არარსებობა იწვევდა! განგებამ ასეთად მე ამირჩია. ის ფაქტი, რომ ცემენტის სიმტკიცე სტანდარტული მეთოდით 28 დღის ასაკში განისაზღვრება, ბევრ უხერხულობებს უქმნის მის მომხმარებლებს. ვინ გააჩერებს ცემენტს 28 დღით? არადა, გაუსინჯავად გამოყენებაც არ შეიძლება, რადგან, გარკვეულად, რისკზე მიდის... ცემენტის სიმტკიცე რომ ყოველთვის საგარანტიო მარკის შესაბამისი ყოფილიყო, ამ მეთოდის შექმნასა და დახურვაზე 30 წელს არ დავკარგავდი, რადგან ამის საჭიროება, უბრალოდ, არ იარსებებდა... სწორედ ამან უბოძა მკვლევარ გამოგონებლებს, დაქარბულნი მეთოდების ბუმი მოეწყობათ! სპეციალური ლიტერატურაში ასამდე მეთოდი დაფიქსირებული, მაგრამ ვერცერთი

მათგანი ახლოსაც ვერ მოვა ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მეთოდთან! ცემენტის 28 დღის სიმტკიცეს ჩემი მეთოდი შეიღობა (ხელსაწყოთა უკანასკნელი მე-7 მოდილი, რომელსაც ჩემი მშობლიური სოფლის პატრისაქემად MELANI-01 დავარქე!) 5 წუთს ანდომებს! ამასთან, წინა მოდელისაგან განსხვავებით, გარდა ცემენტის სიმტკიცის, ბეტონის ნარევის მოსალოდნელი სიმტკიცის პროგნოზირებასაც ახდენს 10%-იანი ცდომილებით! ხელსაწყოთა ელექტრონული სქემა შექმნეს და პროგრამული უზრუნველყოფა მოახდინეს ტექნიკის მეცნიერებებმა დოქტორმა, ბატონმა ელუარდ გვეორჯიძემ და ახალგაზრდა უნიჭიერებმა პროგრამისტმა, ბატონმა გია ელიოზოვამ. ხელსაწყოში შეყვანილია 18 პარამეტრიანი ფორმულები, რომლებიც სრულად (ან თითქმის სრულად) მოიცავენ ცემენტისა და ბეტონის ფიზიკო-მექანიკურ მახასიათებლებს!

ყველაფერი 1982 წელს დიწყო. რაზნანის ქარხანამ გამოგვიზავნა ვითომ 400 მარკიანი ცემენტი, რომელიც ჩვენმა კომპანიაში ლაბორატორიული შემოწმების გარეშე გამოიყენა რკინა-ბეტონის 12 მეტრიანი სვეტების დასამზადებლად, მაგრამ არ გაუმართლდათ, ცემენტის რეალური სიმტკიცე, როგორც შემდეგ გაირკვა, 150 აღმოჩნდა და მთელი იმდენი ნაშრომი წყალში ჩავეყარა... იმ, მაშინ ჩავედგე ვიტე, რადგან უნდა მედონა ჩამოვდენი თბილისში, აქვითხვამოვიკითხე და აღმოჩნდა, რომ ეს მსოფლიო პრობლემა ყოფილა! შევისწავლე ცემენტის ქიმია რაღაც დონეზე და აღმოჩნდა,

რომ უაღრესად დიდ პრობლემას შევეჭიდე. მაშინ „სოფლმშენის მშენიანდუსტრიის“ ცენტრალურ ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა პროფესორი თენგიზ ხვედელიძე, რომელმაც მირჩია, გამეზომა ცემენტის ცოშში ჩამოვსული ელექტროდების შორის აღძრული ელექტროდების პოტენციალთა სხვაობა, მაგრამ ეს სიდიდე იმდენად მცირეა, რომ სპეციალური გამზომი აპარატურის გარეშე, ვერაფერს გახვდით. ყველაფრის ქრონიკული დეფიციტის პირობებში, მაშინ დღევანდელივით ადვილი არ იყო საჭირო მოწყობილობის შექმნა... აი, მაშინ დაიბადა პრინციპული ახალი იდეა, რომელსაც შემდგომში ცემენტის აქტივობის განსაზღვრის კონდუქტომეტრიული მეთოდი ეწოდა.

ვიცოდი, რომ ცემენტის წყალხსნარი ელექტროლიტია, ეი დენის გამტარი გაიქცა. სასწრაფოდ ავაწყე პრინციპული „ხელსაწყო“, რომელიც შედეგობა მიმდევრობით შეერთებული დენის წყაროსაგან, ამპერმეტრისაგან, ელექტროდებთან პარალელურად მიერთებული ვოლტმეტრისაგან, ორი მასტაბილური წინაღობისა და ჩამორთვლისაგან. „საიდუმლო“ გაყონა და უკვე 1986 წელს ამ საქმით საშენ მასალათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში დაინტერესდნენ. ცემენტის სექტორის მაშინდელმა უფროსმა კორნელი თანდლივამ ახალი მეთოდი შემამოწმებინა 7 სხვადასხვა ცემენტში, რომელთა აქტივობა მისთვის წინასწარ იყო ცნობილი. ხუთი მათგანისათვის გადახარის ფარდობითი ცდომილება არ აღემატებოდა 3%-ს, დანარჩენი ორის-

თვის — 5%-ს. უნდა გენახათ მისი აღტაცებული შეძახილი: „აკაკი, ვი დლია მენია გენიალანია ნახოდეს! ვი სოფერშილი ჩუდო! ვი რეშილი მიროვული პრობლემა!“ ჩამავლო ხელი და, პირდაპირი მნიშვნელობით, შემათრია ინსტიტუტის მაშინდელ დირექტორთან, ოთარ კვიციანიძესთან, რომელმაც წინადადებით მომმართა, სწავლა ასპირანტურაში გამეგრძელებინა, მათსავე ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრებიდან უკვე 13 წელი იყო გასული და თან სამი შვილი მყავდა შესანახი, რაღა დროს ჩემი ასპირანტობა იყო? სპეციალობა მონათესავე გახლდათ, ფრანგული ენა სკოლაში ვისწავლე და არ მაშინებდა... პარტის ისტორიის გახსენება არ გინდოდა? ერთი სიტყვით, ყველაფერი წარმატებით დამთავრდა, ასპირანტურაშიც მოვეწყე, საკანდიდატო მინიმუმებიც ჩავაბარე და როცა ბოლო გამოცდისთვის ვემზადებოდი, სამოქალაქო დაპირისპირებაც დაიწყო... პარალელურად სამეცნიერო ტექნიკური გაერთიანება „ანალიზხელსაწყო“ თანამშრომლები შეუდგნენ ხელსაწყოთა საცდელი ნიმუშების დამზადებას! მე მათ მასალები ვადავკვი1986 წლის შემოდგომაზე და საცდელი პარტია 10 ხელსაწყო 1990 წლის ბოლოს დაამზადეს! მაშინ მიკვირდა, რატომ წელავდნენ დროს, მით უმეტეს, რომ ისინიც თანავტორებად მყავდა მეორე საავტოროში №1695227! მე მათ ვუბნებოდი, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოგონებაა, ხომ ხედავთ, საით მიდის ქვეყანა, ვინ იცის, მომავალში ამ გამოგონებამ შეგვიანახოს-მეთქი! ისინი დროს იმი-

ტომ წელავდნენ, რომ ჩემი გამოგონება მოინდომეს, რაკი მე ელექტრონიკის არაფერი გამეგებოდა! შემდეგ, როცა რუსეთში მომიწია ამ ხელსაწყოების წარმოება, რუსებმა ერთ თვეში გააკეთეს მესამე თაობის ხელსაწყო IAL-03! არადა, ეს ხელსაწყო რომ 1986 წელს გამოსულიყო, მე ახლა მილიარდერი ვიქნებოდი!

მთელი ყოფილი სსრ კავშირის ცემენტთან შეხებაში მყოფი 5000-ზე მეტი საწარმო უცდიდა ამ ხელსაწყოთა და ინხლდენ მაშინ ყველასთვის საცდელი „ვოლგის“ ფასს — 10000 საბჭოთა მანეთს! ბევრის მიხედვით ცოტასაც ჰკარგავს ხოლმე! მე რომ მაშინ ცოტა მეტი რისკი გამოემჩინა, ჩავსულიყავი მოსკოვში, მომხმარებელთა პარტიიდან, ახლა ცოტა სხვა ვითარება მექნებოდა. მაგრამ მულამ საქართველოს სიკეთეზე მეოცნებეს, არ მინდოდა, ეს გამოგონება მისთვის დამეკარგა. ბოლოს მაინც ის მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო — საქართველოსთვისაც დაიკარგა (დაახლოებით, 1.8 მილიონი მანეთი) და ინახებოდა „ავტორმწვანების“ გურჯაანის ფილიალში კოპერატივ „ინტეგრალის“ ანგარიშზე, ისიც ელუარდის მთავრობამ დააყარა სრულიად უმიზნოდ (თურმე აფხაზეთში შესასვლელად ემზადებოდნენ და მე რა ვიციდი!) და ყადაღა მომისხნეს 1994 წელს, ლარის შემოღების შემდეგ, როცა იხელა თანხა 1.8 ლარად გადამიქციეს!

ამაზე ვინ უნდა აგოს პასუხი, დღესაც არ ვიცი. ვასაგებია, სახელმწიფოს ინტერესებს სჭირდებოდა და წამართვა (მადლობა, რომ მაშინ ცოცხები ვერ არ იყო მოღალატე). დღეს ამ გამოგონებით დაინტერესდნენ ინგლისელები. MELANI-01-ის ერთი მოდელი ატესტაციას გადის ინგლისის დედაქალაქში საერთაშორისო სერტიფიკატის მოსაპოვებლად. სხვას ვერ ვერაფერს ვიტყვი. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ქართული გამოგონება მსოფლიოს ხალხთა კუთვნილება გახდება!

როლანდ ხოჯანაშვილი

კვირის პროსკოპი

ვერძი: მოთმინება გმართებთ, რადგან თქვენი სურვილი ძნელად შეგისრულდებათ. იმუშავეთ საკუთარ თავზე. საყვარელ ადამიანთან პრობლემებს ადვილად მოაგვარებთ.

კურო: წარმატებული დრო არ არის ძველ ნაცნობებთან ურთიერთობისათვის, მშობლებთან დაძაბული ურთიერთობა გექნებათ. მეგობრებმა შეიძლება თეატრში ან კინოში დაგპატიჟონ. დიდი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანს.

ტყუები: გარეგნობასთან დაკავშირებული პრობლემები შეგაწუხებთ. თუ დიეტის დაცვა გჭირდებათ, ნუ გადადებთ. შეიძინეთ ახალი ტანსაცმელი, შეიარეთ სილამაზის სალონში და შეიცვალეთ ვარცხნილობა.

კირჩხიბი: მოსალოდნელია, ცვლილებები განხორციელდეს საქმეში. ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას, ასეთი სიტუაცია დიდი ხანი არ გაგრძელდება.

ლომი: იყავით თავშეკავებულნი, ნუ იჩქარებთ და თქვენ მოგეცემათ ჩანაფიქრის მიღწევის შესაძლებლობა. მოსალოდნელია ახალი რომანტიკული კავშირი.

ქალწული: პარმონიული კვირაა. თქვენ პატივმოყვარე ხართ და ამიტომ სიფრთხილე გმართებთ, პარტნიორებთან ურთიერთობაში საქმეები არ გაგირთულებთ, ზოგჯერ ისინი თქვენს თანადგომასა და მხარდაჭერას საჭიროებენ.

სასწორი: მოერიდეთ სერიოზული გადაწყვეტილების მიღებას. არ არის გამორიცხული, პრობლემები ოჯახშიც შეგექმნათ. თუმცა, პირად ცხოვრებას გაცილებით ადვილად დალაგებთ. თუ ვინმე თქვენს დადანიშნულებას დააპირებს, კონტრარგუმენტებით დაუმტკიცეთ, რომ მართალი ხართ.

მორიელი: კარგი დროა ახალი საქმის დაწყებისათვის. სამსახურებრივი რომანი, შესაძლებელია, ამკარა გახდეს ხელმძღვანელობისათვის. ფრთხილად იყავით საქესთან.

მშვილდოსანი: ეს კვირა იქნება შემოქმედებითი. ეს დღეები მიუძღვნით არა თქვენ თავს, არამედ საყვარელ ადამიანს.

თხის რქა: თუ საყვარელი ჯერ არ გყვებით, ეს პერიოდი ამისათვის იდეალურია, ხოლო, თუ საყვარელი ადამიანი უკვე გაყავთ, მისგან უამრავი სიურპრიზი გელით.

მერწყული: იყავით ყურადღებიანი საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ. შეიძლება გადაწყვიტოთ ის პრობლემა, რომელიც დიდი ხანია არსებობს თქვენს პირად ცხოვრებაში.

თევზები: გმართებთ მოთმინება, რათა თავიდან აიცილოთ კონფლიქტი. მოიკრიბეთ ფანტაზია და არ ინანებთ. არის ალბათობა იმისა, რომ მიიღოთ პრემია.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ავსტრია. 5. ოპელი. 6. ანი. 8. ძნა. 9. ფარში. 11. აგრესია. შევეულად: 1. ქაელი. 2. ბრა. 3. ასპინძა. 4. ავტომატი. 7. ქაოსი. 10. პრა.

Table with crossword puzzle clues and answers in Georgian. Includes a small portrait of a man in the bottom right corner.

ქუთაისური კადრები „ქართული ფოტოგრაფიის“ ფურცლებზე



ლოლი საირიის ბორაზა. თბილისი. 1948 წ.



ჟათაისი. 1946 წ. ასა ბაგოიძე-ბაგოაძე სანტარალური მოედნის მხარეზე.

ახლახან თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნული არქივის ფოტოგრაფიის „საბჭოთა საქართველო“. გამოფენაზე მოეწყო თამარ სულამანიძისა და იური მჭითოვის შევსებულ ფოტოგრაფიის „ქართული ფოტოგრაფიის“ პრეზენტაცია.

წიგნში წარმოდგენილია საქართველოში მოღვაწე ორასამდე ფოტოგრაფის საუკეთესო ნამუშევრები. ეს წიგნის მხოლოდ პირველი ნაწილია, განსაზღვრულია მისი კიდევ ორი ნაწილის გამოცემა. ჩვენი თანაქალაქელებისათვის, ვფიქრობთ, მეტად საყურადღებო და მისასალმებელია ის, რომ წიგნი „საქართველოს ფოტოგრაფია“ იწყება ქუთაისის ფოტოკინო მატეანის მუზეუმის მიერ მიწოდებული ფოტომასალებით, კერძოდ, ქუთაისელი ფოტოგრაფიანთა, უპირველესად, ცნობილი ქუთაისელი ოსტატის პავლე ლუცენკოს უნიკალური

ნამუშევრებით. წიგნი უმაღლეს პოლოგრაფიულ დონეზე გამოცემული, ქართულ-ინგლისური ტექსტით და საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლევა, თვლი გაადევნოს ქართული ფოტოგრაფიის განვითარების ეტაპებს, მათ შორის — ქუთაისელი ფოტოგრაფიანების საუკეთესო ნამუშევრებს. გთავაზობთ პავლე ლუცენკოს რამდენიმე ნამუშევარს, რითაც იწყება წიგნი „ქართული ფოტოგრაფია“.

რამაზ მორჩიძე, ქუთაისის ფოტოკინო მატეანის მუზეუმის დირექტორი



სოფილი ჟათაისელი ფოტოგრაფიანთა (მარცხნიდან) ბარაბ ბარაბაძე, პავლე ლუცენკო, მისა სარდინოვი, ბორის ბრინბლანტი. 1960 წ.

სიმონ არველაძის წიგნების პრეზენტაცია სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

12 ივნისს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში უხუცესი მწერლისა და მეცნიერის, პროფესორ სიმონ არველაძის ორი ახალი წიგნის წარდგენა-მიმოხილვა გაიმართა. ესენია: ლექსების კრებული „ახალი ლირიკული

გამონათება“ და „ლირიკა და ესეისტიკა“. წიგნების რედაქტორია მწერალი და მეცნიერი, აკადემიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი. ბატონმა სიმონმა „P.S.“-თან საუბრისას აღნიშნა: „დღევანდელ განხილვას მინდა სიმბოლური დატვირთვა მივანიჭო

და წინა პლანზე მთავარი გარემოებანი წამოვიწყო. მე ეს ლექსების კრებული ჩემს შვილიშვილს ლუკას და მის თანატოლებს მივუძღვენი (4 წლამდე ასაკის ბავშვებს). ეს ჩემი ერთგვარი დამოძღვრა იქნება მომავალი თაობისადმი.“ პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ

მიწვეული სტუმრები, წაიკითხეს რამდენიმე ლექსი სიმონ არველაძის შემოქმედებიდან, ავტორს მიუძღვნეს სიმღერები. 93 წლის მწერალი საღამოს გმირადაც კი მოიხსენიეს, როგორც მისი დამსახურების გამო, ასევე — მხნეობისათვის (უსათვალოდ და ახალგაზრდული შემართებით წაიკითხა საკუთარი ლექსები).

შანა ჯანელიძე

A large crossword puzzle grid with various clues in Georgian. Includes a small portrait of a man in the bottom right corner.

შავდონა ალაკო ნახაძე

Advertisement for '30 Years of Independence' (30 წელიწადი დამოუკიდებლობისათვის). Includes text about the anniversary, contact information for psnews27@gmail.com, and a small portrait of a man.

Advertisement for 'კრიკრიკი' (Krikrikri). Includes text about a crossword puzzle, contact information, and a large crossword puzzle grid.